**რედაქცია:** სოლოლაკზე, ბალის ქუჩაზე, გ. შადინოვის სახლში, № 33.

**ხელის-მოწერა** მიიღება რედაქციაში. გარეშე მცხოვრებთათვის: Въ Тифлисъ. Въ редакцію „Дроэба“.

**გაზეთის ფასი:** მთელის წლისა — 8 მ., ნახევარ წლისა — 5 მ., სამის თვის — 3 მ., ერთის თვისა — 1 მ.

ცალკე ნომერი ღირს შაურად.

# დროება

უოველ დღე ორშაბათს გარდა

**ფასი განცხადებისა:** [illegible] ასოზე 1 კაპ. [illegible] [illegible] — 5 კაპ., პატარათი — 4 კაპ.

**რედაქციას უფლება** აქვს გაასწოროს და შეამოკლოს დასაბეჭდათ გამოგზავნილი სტატიები. დაუბეჭდელი სტატიები ავტორს არ დაუბრუნდება.

ცალკე ნომერი ღირს შაურად.

## განცხადება

### ნახევარი წლის ხელის-მოწერა „დროებაზე“

მიიღება რედაქციაში—ბალის (სოლოლაკის) ქუჩაზე, გ. შადინოვის სახლებში, № 33.

ქალაქს გარეშე მცხოვრებთა ამ ადრესით უნდა დაიბარონ გაზეთი: Въ Тифлисъ. Въ редакцію газ. „Дроэба“.

**ფასი** ნახევარ წლის გაზეთისა, ე. ი. 1 ივლისიდამ წლის დამლევამდინ, გაგზავნით—**ხუთი** მანეთი.

## ტელეგრამმები

(ხალხთა-შორის ტელეგრაფის სააგენტოსი)

**სოფია** (ბოლგარია), 1 ივლისს. ბოლგარიის მთავარი თავის სატახტო ქალაქს სოფიაში მოვიდა დღეს. ხალხი აღტაცებით მიეგება იმას; ქალაქი შემკობილია ბაირაღებითა და ყვავილებით; ყველა ქუჩები და კერძო სახლები გაჩირაღდნებულია.

**კაირი** (ეგვიპტე), 1 ივლისს. ახალი ქედივი დათანხმდა, რომ ოსმალეთსა, ინგლისსა და საფრანგეთს ჰქონდეთ უფლება ეგვიპტის ფინანსების (სახელმწიფო შემოსავალ-გასავლის) ზედამხედველობისა და კონტროლისა.

**პეტერბურღი**, 2 ივლისს. ბოლგარიის მთავარმა გამოუგზავნა ხელმწიფე იმპერატორს 30 ივნისს პლევნიდამ ტელეგრამმა, რომელშიაც მოხსენებულია, რომ ნაციონალურმა კრებამ ამოარჩია დეპუტაცია, რომელიც უნდა მოვიდეს პეტერბურღში და გამოუცხადოს იმპერატორს ბოლგარიის ხალხის ერთგულება და მადლობა. დეპუტაცია 25 ივლისს მოვა პეტერბურღშიო და თ. დონდუკოვ-კორსაკოვი წარუდგენს იმას ხელმწიფესაო. თვითონ მთავარიც თავის მხრით განუსაზღვრელ მადლობას სწირავს იმპერატორს.

**მოსკოვი**, 1 ივლისს. ვარნიდამ მოვიდა ამბავი, რომ ბოლგარიაში სულყველა ადმინისტრატიული თანამდებობა რუსებმა ბოლგარიელებს ჩააბარესო. უკანასკნელი რუსის სალდათი 18 ივლისს დაბრუნდება ბოლგარიიდამ.

რადგან ოსმან-ბაზარში ხალხის აჯანყებაა, ამის გამო მთავრობას განზრახვა აქვს, რომ ყველა ადგილობრივ მაჰმადიან მცხოვრებლებს თოფ-იარაღი დააყრევინონ.

**ბერლინი**, 2 ივლისს. სარწმუნოებათა მინისტრად პუტკამერი დაინიშნა, სახელმწიფო ქონების მინისტრად—ლუციუსი და ვაჭრობისა და ხელობის მინისტრად—ჰოფმანი.

**ტირნოვო**, 2 ივლისს. ბოლგარიის დრუჟინებმა დაამშვიდობეს ოსმან-ბაზარის აჯანყებული მაჰმადიანები. 200 მაჰმადიანი არის მოკლული და დაჭრილი.

### პეტერბურღის ბირჟა, 2 ივლისს

(ხალხთა შორის ტელეგრაფის სააგენტოსი)

| ბანკის ბილეთები: | მან. კაპ. |
|---|---|
| პირველი გამოცემის — | 95—25 |
| მეორე — — — — | 95— „ |
| მესამესი — — — | 94—87 |
| მეოთხესი — — — | 94—87 |
| აღმოსავლეთის პირ. — | 92—37 |
| აღმოსავლეთის მეორე — | 92—25 |
| აღმოსავლეთის, მესამე — | 92—12 |
| ოქრო, ½ იმპერიალი — | 8—27 |
| თფილ. თავად-აზნ. ბანკის გირაოს ფურცელი — | „— „ |

| შინაგანი 5% სესხის ბილეთები | მან. კაპ. |
|---|---|
| პირველი სესხის— — | 236—75 |
| მეორე სესხის — — | 236— „ |

| 1 მანეთი ღირს: | | |
|---|---|---|
| ლონდონი — — | 23—87 | პენსი |
| ამსტერდამი — | 119—75 | ცენტი |
| პარიჟლინი — — | 202—75 | პფენიგი |
| ამსი — — — | 250—50 | სანტიმი |
| კავკასიის კერასინი — | „ — | |

### პეტერბურღი, 2 ივლისს.

პირველი შინაგანი სესხის ტირაჟში, რომელიც 2 ივლისს მოხდა პეტერბურღში, უმთავრესი მოგება შემდეგ ბილეთებს ხვდათ:

| №№ სერიისა, | ბილეთისა. | მოგების ჯამი |
|---|---|---|
| 7892 | 28 | 200.000 » |
| 16956 | 6 | 75.000 » |
| 15290 | 38 | 40.000 » |
| 17344 | 46 | 25.000» |
| 17178 | 46 | |
| 16054 | 24 | . . . 10.000 » |
| 14275 | 47 | |
| 15356 | 11 | |
| 14393 | 39 | |
| 11470 | 24 | . . . 8.000 » |
| 16885 | 3 | |
| 10768 | 50 | |
| 14091 | 49 | |
| 7220 | 12 | |
| 1454 | 14 | . . . 5.000 » |
| 3873 | 38 | |
| 8814 | 12 | |
| 22171 | 7 | |
| 14701 | 42 | |
| 13717 | 40 | |
| 1985 | 46 | |
| 9450 | 35 | |
| 1168 | 11 | |
| 7286 | 33 | |
| 17018 | 15 | |
| 4733 | 38 | |
| 16682 | 8 | |
| 13565 | 48 | |
| 17921 | 44 | . . . 1.000 » |
| 18881 | 2 | |
| 15207 | 25 | |
| 15179 | 25 | |
| 1486 | 3 | |
| 10193 | 10 | |
| 16943 | 22 | |
| 15507 | 20 | |
| 4035 | 1 | |
| 1163 | 30 | |
| 8464 | 33 | |
| 1480 | 48 | |

## საქართველო

### სახალხო განათლების საქმე საქართველოში.

(უძღვნი „საქართველოში წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას“).

მოვესწარით, მკითხველო, დიდათ სასიხარულო მოვლინებაებს ჩვენს ძვირფას ქვეყანაში. მოვესწარით იმ დროს, როდესაც წინა-მორბედნი ჩვენის ქვეყნისა, მართლა რომ წინა-მორბედობას აჩვენებენ, როგორც ჩვენი მამა-პაპების წარსულ-დაკარგულ, მაგრამ დაუვიწყარ, დროებაში ყოფილა. მოვესწარით იმ მოვლინებების ხილვას, რომელნიც გვიმტკიცებენ, რომ ქართველში ჯერ კიდევ არ გამშრალა კაცური კაცის სისხლი, რომ მასში კიდევ არ ამოფხრულა საყოველთაო სიკეთისადმი მიდრეკილება!..

მაგალითებისათვის შორს ნუ მივდი-

ვართ. აწინდელი დროის მრავალი საქმე და დაწყობა უკეთეს მომავალს გვიქადიან, ბევრ რამე კარგს და ჩვენი დაცემული ქვეყნის ფეხზე წამომაყენებელ საფუძვლიან იმედებს გვაძლევენ.

ამ მრავალთა საქმეთა და დაწყობათა შორის, უპირველესი ადგილი, ჩემის ფიქრით, უნდა დაიჭიროს და დაიჭერს კიდეც ახლად დაარსებული „საქართველოში წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება." როგორც ვიცით, ეს საზოგადოება დამტკიცდა 31-სა მარტსა 1879 წ.

ამ საზოგადოებას ჯერ-ჯერობით არ დაუწყვია თვისი მოქმედება და როგორც გაზეთი „დროება" გვაუწყებდა, იგი მხოლოდ სეკტემბრიდამ იწყებს მოქმედებასო. პირვათაც უნებურია, რადგანაც ამით საზოგადოებას დრო ეძლევა, მისი მომავალი მოქმედება შეძლებისამებრ წინათვე გაიკვლიოს, შეისწავლოს.

თუ მართლა გვინდა, რომ ის სიამოვნება და სიხარული, რომელიც ამ საზოგადოების დაარსებით ჩვენ გვეძლევა, მართლა და საიმედო სიამოვნებათ და საიმედო სიხარულათ შეგვრჩეს, საჭიროა დიდი წინ-დახედვა ვიხმაროთ ამ საქმეში, საჭიროა სულ დაწვრილებით გამოვიკვლიოთ, შევისწავლოთ და წინათვე მოვიმზადოთ ის გზა და ის მიზანი, რა გზითა და მიზნით უნდა წავიყვანოთ ჩვენი საქმე.

დღეს მე მსურს ვაცნობო ჩვენ საზოგადოებას ჩემი საკუთარი აზრი მის წინ მდებ საგანზედ. მსურს მოვახსენო, თუ, ჩემის ფიქრით, საითკენ უფრო უნდა იყოს მიქცეული ამ საზოგადოების ყურადღება და რაში უნდა მდგომარეობდეს მისი მოქმედება.

საზოგადოებას, როგორც ეს მოხსენებულია მის წესდებულებაში, აქვს შემდეგი მიზანი და ამ მიზნისადმი მისაღწეველათ შემდეგი უფლებანი და სახსრები:

მიზნათ აქვს წიგნის ცოდნისა და თავ-და-პირველი სწავლის გავრცელება ქართველებში, სადაც კი კავკასიის სანამესტნიკოში ისინი მოსახლობენ.

ამ მიზნისამდმი მისაღწევნელათ აქვს უფლება:

ა) სადაც შკოლები არის გახსნილი, იმათ ხელს უმართავს.

ბ) სადაც საჭირო იქნება, ახალი შკოლების გახსნას ეხმარება, ან თვითონა ჰხსნის თავის ხარჯით;

გ) სახალხოთ წიგნების კითხვასა ჰმართავს და საკითხავებსა ჰხსნის;

დ) გამოსცემს სხვა-და-სხვა შკოლებისათვის და ხალხისათვის საჭირო წიგნებსა;

ე) შეადგენს თავის სამწიგნობროს, როგორც თავისთვის, ისე ხალხისთვის საკითხავად; წიგნების საწყობებს, რაც მუქთათ თუ ფასით იქნება დასარიგებელი და პედაგოგიისათვის გამოსადეგი ნივთების საწყობებსა;

ვ) ყოველ ღონისძიებასა ჰხმარობს, რასაც კი შეიძლებს, რომ შკოლებს გამოცდილი მასწავლებლები უშოვოს;

ზ) ჰმართავს საპედაგოგიო კურსებსა და მასწავლებლების თავის-მოყრასა;

ც) რომელნიც სახალხო შკოლებში უფრო ნიჭიერი შაგირდები იქნებიან, იმათგან სახალხო მასწავლებლებს მოამზადებს, ან იმ სასწავლებლებში, რაც აქამდისინ არის გამართული, ან არა და თვითონ თავისი ხარჯით გამართავს ამისათვის ცალკე სასწავლებელს;

და § 3 საზოგადოება თავის მიზანს იმითი მიაღწევს, რომ სასალხო შკოლებში დასაწყისს სწავლებას დაადგენს სამშობლო ენაზედ, რომელიც ესმით მოსწავლეებსა და აგრეთვე ზრუნავს რუსული ენის სწავლებისათვის.

როგორც მკითხველი ჰხედავს, საზოგადოებას ძლიერ ფართო გზა აქვს თავისი მიზნის მისაღწევნელათ, მაგრამ ესევე სიფართოვე უფლებებისა უნდა გახდნენ ჩვენი მოქმედების სიფრთხილეთ. მე ძლიერ ვშიშობ, რომ ამ უფლებების, ანუ უკეთ ვსთქვა, სახსრების სიმრავლემ თავი არ აგვირიოს, საქმე არ დაგვიხლართოს და ხეირის მაგიერ ზიანი არ შეგვძინოს. ამ სიფრთხილემ მაიძულა რამოდენიმე სიტყვა მაინც მეთქვა ამ ძლიერ საინტერესო საქმეზედ.

საზოგადოებამ თავდა-პირველი სწავლა უნდა გაავრცელოს საქართველოში. მაგრამ საიდამ იწყოს მან ამ მიზნისადმი მიღწევა? რომ ამ პასუხზე, ცოტათი მაინც არის ხეირიანი პასუხი მიეცეთ მკითხველებს, საჭიროა მოკლეთ მაინც გავიხსენოთ აწინდელი ჩვენი სახალხო განათლების ანუ შკოლების მდგომარეობა და ის დაბრკოლებანი, რომელნიც ამ საქმეს აბორძიკებენ.

უპირველესი დაბრკოლებანი ჩვენი სახალხო განათლების საქმისა არიან: უმასწავლებლობა და ის, რომ ჩვენ კიდევ არ ვიცით—თუ როგორი უნდა იყოს ქართული სახალხო შკოლა.

ვინ არ იცის, რომ შკოლა მოუმზადებელი მასწავლებლით არაფერი ხეირია. ტყუილი ხარჯი და ჯაფაა. ვინ არ იცის, რომ ჩვენ ქვეყანაში ხეირიანი მასწავლებელნი (სასოფლო შკოლებისათვის) სანთელით საძებარნი არიან. ვინ არ იცის, რომ მომეტებული ნაწილი ეხლანდელი სასოფლო მასწავლებლებისა თითქმის სრულიად მოუმზადებელია იმ საქმისათვის, რომლისთვისაც მათ სხვა-და-სხვა გარემოებისა გამო, თავი გამოუდვიათ და ხელი მოუკიდნიათ. ვინ არ იცის, რომ ის ერთათ-ერთი სამასწავლებლო სემინარია, რომელიც გორში არსებობს, ვერ აუვა და ვერც აუდის მთელი კავკაზიის მოთხოვნილებას.

ერთი სიტყვით, რაღა ბევრი გავაგრძელო, ჩვენ მიზნისადმი მისაღწეველად, ყველაზე უწინარეს ხეირიანი მასწავლებლების შოვნაა.

მაგრამ სად და როგორ?

თვით საზოგადოებას ორი გზა ამოურჩევია: ერთი, მასწავლებლების მომზადება სამასწავლებლო სემინარიაში და მეორე საკუთარი სამოსწავლებლო შკოლის გახსნა. საქმე მხოლოდ შემდეგშია; ამ ორთა სახსართა შორის მასწავლებელთა მომზადებაში, რომელი უნდა ამოირჩიოს ჩვენმა საზოგადოებამ? თქმა არ უნდა, რომ მეორე, ე. ი. თვისი საკუთარი სამასწავლებლო შკოლის გახსნა! მაგრამ მიპასუხებენ:—როგორაო, სად არის იმდენი ფულიო და სხვ.? ეს მეც ვიცი, მაგრამ, რომ აწ-მყოფი სამასწავლებლო სემინარიებიც ვერ დაგვაკმაყოფილებენ? ისინი ასე არიან მომართულნი, რომ სრულიად არ გამოგვადგებიან ჩვენა, თავის დღეში ვერ გამოგვიზრდიან იმგვარ მასწავლებლებს, რაგვარიც ჩვენ სახალხო შკოლებს ეჭირებათ!

გამოდის, რომ მასწავლებლების მომზადება აწ-მყოფ სამასწავლებლო შკოლებში სრულიად არ ურიგდება ჩვენ მიზანს და ამიტომ მათის შემწეობით მასწავლებლების მომზადება სრულიად უბრალო ხარჯი, ტყუილი ჯაფა იქნება ჩვენის მხრით.

ისევ სჯობია თავისი საკუთარი სამოსწავლებლო შკოლა გავხსნათ და ეს ფულები ჩვენ საკუთარ შკოლაში დავხარჯოთ. ერთი პატარა სამასწავლებლო შკოლა რომ გავხსნათ, თუნდა მხოლოდ ოცი შაგირდით, ისიც საკმარისი იქნება და არც ბევრი ფული დაგვეხარჯება. ოცი შაგირდი რომ ჩვენის ხარჯით ვიყოლიოთ, ოციოდეც თავისი ხარჯით შმოვა და ამ გვარად ჩვენი შკოლაც კარგა მოზრდილი შკოლა იქნება. ამ შკოლაში სამის ანუ ოთხის წლის კურსი იქნება; შაგირდებს მივიღებთ აწინდელი სამოქალაქო და სამაზრო სასწავლებლების კურს-შესრულებულებს და უფრო მეტათ თვით ჩვენ შკოლასთან გამართული პირველ-დაწყებითი კლასსებიდამ. ეს სასწავლებელი უნდა გახდეს წყაროთ და საფუძველათ ყველა ჩვენი საშუალო სასწავლებლებისა; მან უნდა მოგვცეს ის, რაც შეადგენს უუსაჭიროეს კუთვნილებას სახალხო განათლებისას, ე. ი. ნამდვილი ქართველი მასწავლებელნი, ქართული სახალხო ტიპის შკოლა, სახელმძღვანელონი და ყველაფერი...

(შემდეგი იქნება.)

---

## დღიური

*** „მოსკოვის უწყებებში" დაბეჭდილია შემდეგი დეპეშა 27 ივნისს პეტერბურღიდამ მიღებული:

„სახალხო განათლების სამინისტროსთან დანიშნულია, დელიანოვის თავსმჯდომარეობით, ცალკე კომისია, რომელმანც უნდა გადახედოს კანონები იმ უპირატესობისა, რომელიც ეძლევათ სამსახურში უმაღლესს სასწავლებლებში კურს-შესრულებულებს. ამ კომისიას განზრახვა აქვს წარუდგინოს მთავრობას კანონ-პროექტი, რომლის ძალითაც არავის არ ექნება რუსეთში უფლება, რომ რომელიმე უმაღლესი თანამდებობა მიი-

ლოს სამსახურში, თუ შესაფერი განათლებისა და სწავლის დიპლომი არა აქვს. კომისიისაგან შეკრებილ ცნობებიდამ აღმოჩნდა, რომ ბევრი უაღრესი თანამდებობა და სამსახურის ადგილი ისეთ პირებს უჭირავთ, რომელთაც ძალიან ცოტა განათლება მიუღიათ.“

*** მოგეხსენებათ, რომ შარშან ზამთარს ტფილისში გამართეს რამდენიმე საზოგადო ლექცია რუსულისა და სომხურს ენაზედ. ამ ლექციებმა მაშინ დიდძალი საზოგადოება მიიზიდა და საზოგადოთ ყოველთვის, როდესაც ტფილისში ლექციები იმართება, თუ ეს ლექციები ცოტად საინტერესო საგანს შეეხებიან და ლექტორებიც ხეირიანები არიან, ჩვენი საზოგადოება მუდამ დიდის სიამოვნებით მიდის ხოლმე ლექციებზე იმ მიზნით, რომ რამე ახალი შეიტყოს და შეიძინოს.

უბედურება ეს არის, რომ დღემდინ ამ ლექციებში არავითარი სისტემა და წესი არ იყო; ვისაც რაზედაც ჰსურდა, იმაზედ ჰკითხულობდა ლექციებს.

ამის გამო ჩვენ დიდის სიამოვნებით შევიტყეთ ახლა ერთის რუსულის გაზეთიდამ, რომ ტფილისში შესდგა განსაკუთრებული კომიტეტი ლექციების გასამართავად, რომელიც უნდა ითავოს როგორც ლექციების საგნებისა, აგრეთვე თვითონ ლექტორების ამორჩევა, ზალის შოვნა, ზოგიერთ ლექციების დაბეჭდვა და ცალკე წიგნად გამოცემა და სხვ. და სხვ.

## „დროების“ კორრესპონდენცია

**ბაკურციხე** (სიღნაღის მაზრაში), 29 ივნისს. ავიღებ „დროებას,“ გადავაბრუნებ, გადმოვაბრუნებ-ვხედავ, რომ ყველა მხრიდამ, ყველა სოფლიდამ კორრესპონდენციებს იწერებიან; ყველა თავის ბედზედა ჩივის, ყველა თავის მოძმეებს ემდურის. მეც მომივიდა სურვილი და ვიწერები ჩვენ სოფლურს ამბავსა.

ჩვენი პირველი საგანი ცხოვრებისა ვენახები, საქონელი და პური გახლავსთ. ვენახები სულ მთლათ ნაცარმა წაახდინა; ასე რომ ვისაც ოცი ურმის ღვინის გამოსავლის იმედი ჰქონდა, უთუოთ ორს ან სამს ურემზედ მეტს ვერ მიიღებს და ზოგი სულ ხელ-აღებული დარჩა.

საშინელი გულ-მოსაკლავი სნეულება ნაცარი.

არის შენიშნული, რომ როდესაც ისვრიმობის დროს ვენახებს ხანგრძლივი ავდრები დაუდგება, ყოველთვის ნაცარი ჩნდება. ეს ნამდვილათ არის შენიშნული, და ეს ამტკიცებს, რომ ეს სნეულება წვიმაზედა და მიწაზედ უნდა იყოს დამოკიდებული. მოდი და წინა აღუდექი ან პირველსა, ან მეორეს! წელს, ბატონო, ორი კვირა აშხაპუნებდა და აშხაპუნებდა ჩვენი გულის გასაწვრილებლათ, რადგანაც ამ წვიმაში ჩვენა ვხედავდით ჩვენ მტერს ნაცარსა.

რაც შეეხება საქონელს—წელსაც ავათმყოფობაა გავრცელებული. ღოკმა, ჭუჭყუნამა და თურქულმა ბევრი საქონელი გაწყვიტა.

ყანეულობის მოსავალიც ვერ არის კარგი. თუმცა ჩვენში კალია კი არა ყოფილა, მაგრამ თაგვმა ნაკლებად არ შეაწუხა. ძალიან თხელი ყანები იყო საზოგადოთ როგორც ჩვენ სოფელში, ისევე მთელ ქიზიყში და კახეთში.

სიმინდისა კი ძალინ კარგი მოსავალი გახლავსთ.

ესყა ჩვენი სოფლური საქმე. ბედზედ არის დამოკიდებული ჩვენი ცხოვრება: ხან კალია გვღუპავს, ხან სეტყვა გვბექავს, ხან გოლვა გვახმობს და ხან რა და ხან რა.. ერთი სიტყვით, ყოველ წელიწადს ჩვენი საქმე ჭანდრაკულად არის.

მაგრამ, თუ როგორმე ერთ-ორ წელიწადს ყოველ ფათერაკს გადავრჩით, და ჩვენმა ბახუსმა გამაილვიძა, მაშინ, ღვთის წყალობა თქვენა გქონდეთ, რომ ჩვენ წინ წამოვიწიოთ. მაშინ მარსისაც აღარ გვეშინიან ჩვენა. წელს კი ჩვენ ბახუსსა სძინავს; ამას ქალაქშიაც შეიტყობენ ამისი შვილები, ნუნუას მეგობრები...

რაც შეეხება თითონ ჩვენს სოფელს, ორ ნაწილათ იყოფება: ზემო სოფელი, სადაც გლეხები დგანან და ერთი, ორი თავადისშვილები, და ქვემო სოფელი, სადაც განსაკუთრებით თავადისშვილები ცხოვრობენ. ეს ქვევითა ნაწილი მართლა რომ ქალაქს მიემსგავსება. მშვენიერი სახლებია აშენებულები და მშვენიერი ვაკე ადგილიც არის. ჩვენი მაზრის მარშალი ამ სოფელში ცხოვრობს, უწინდელი მარშალიც აქა ცხოვრობდა; ამ სოფელში, როგორც ყველას გაუგია, არეულობაც მოახდინეს ქიზიყელებმა;— ერთ სითყვით, სოფელი ბაკურციხე შესანიშნავი სოფელია ჩვენ მაზრაში.

აი, ბატონო, ხომ ჰხედავთ როგორ ვაქე ჩვენი სოფელი; მაგრამ ჩვენი უბედურება ეს არის, რომ ერთი რიგიანი შკოლა ვერ გავიმართეთ. მართალია, მარშალი მარტო თავად-აზნაურობისათვის არის ამორჩეული, მაგრამ კაცობრიობა მოითხოვს, რომ გლეხებსაც დავეხმაროთ რითიმე. ჩვენ სოფელში სამას კომლამდინ გლეხები იქნებიან. ნუთუ კარგი არ იქნება, რომ ჩვენმა მარშალმა, რომელსაც უფრო მეტი გავლენა ექნება ხალხზედ, სხვა თავადისშვილების შემწეობით, შკოლა გაუმართოს გლეხების შვილებს?

ერთი უბედურობა კიდევ უნდა შემოგჩივლოთ: ჩვენ ქვეყანაში ყველას ქართველები უჭირავთ მეძროხეებად და რამდენიმე თავადისშვილებს კი თათრები. საქმე იმაში მდგომარეობს, რომ თათრები უფასოთ უდგებიან და ამით უბამენ თვალებს ამ დარბაისლებს; ის კი არ ესმით, რომ თუ სარგებლობა არ ექნებათ, უფასოთ არ დაუდგებიან. საქონელს ანახევრებენ, ბატონო, ერბოს იპარავენ, ზაქებსა ჰყიდიან და სხვასა და სხვასა; მაგრამ ოღონდ ესენი თავის ბატონს ფულს ნუ სთხოვენ და თუნდა სულ თითონ შესჭამონ ძროხ..

ჯანი გავარდეთ, თუნდა თავიანთ ბატონებიც დაყიდონ ამ თათრებმა,— მაგრამ საქმე იმაშია, რომ ჩვენც არ გვასვენებენ. ხან მე მამპარავენ ძროხასა, ხან იმას მოჰპარავენ ცხენსა და ესე ლამის სულ აგვაოხრონ. აი მაგალითი: გუშინ მოვიდა ჩემი მეძროხე და მეუბნება:— „ბატონო, შენი ჭირიმე, ამა და ამ კნიაზის თათარმა ტანა ზაქი მეეპარა და დავიჭირეთ ქურდობაში; ერთი უჩივლეთ და მოგვაშორეთ ეგ ურჯულოები, თორემ აგვატუტესო!“

ერთი სასიამოვნო ამბავი ის არის აქეთა, რომ ჩვენ მეზობელ სოფელსა ქარდენახში თ. ილია აფხაზიშვილის და მანშიევის მეცადინეობით ბანკი (ссудо-сберегательная касса) გაიხსნა. ამ ხელათ ჯერ ორას თუმნამდინ არისო ბანკში და კარგათაც მოქმედობს. ამ საქმეში უფრო ბევრსა ცდილობს მაიორი თ. ვაჩნაძე.

ბაკურციხელი.

## ქართული მწიგნობრობა უცხოეთში

(გაგრძელება *)

სიტყვა წამკითხველისადმი.

სასოფლო შკოლებისათვის სახელმძღვანელო ქართული წიგნების გამოცემასა ზედა.

დიდი ხნის აქეთ მწუხარე გულით ვხედავდით, რომ არ იპოებოდნენ ქართულს ენაზედ დასტამბულნი სასარგებლო და გამოსადეგი წიგნები, და ამითი ყოვლითურთ მოკლებული იყო სწავლის საშუალობისაგან მთელი საქართველოს საზოგადოების ფრიად უდიდესი ნაწილი, იგი რომელმანც ქართული ენის მეტი სხვა ენა არ იცის.

ეს წიგნების უქონელობა უმფრო შესამჩნევი და გულ-დასაწველი იყო მიხედვით საქართველოს სასოფლო შკოლების მდგომარეობისა, ამიტომ რომ სოფლის გლახაკი საზოგადოება, თუმცა აკლებდა თავის ოჯახობას და აძლევდა ფულს შკოლების აშენებისა და მასწავლებლების ჯამაგირის მიცემისათვის, რათა გაღებოდა სწავლის კარი თავის შვილებსა და უწინდელივით არღარ აღზრდილიყვნენ ბოვშები ყოვლითურთ უსწავლელად და უმეცრად, მაგრამ შკოლებისათვის საჭირო სახელ-მძღვანელო წიგნები კი არსად არ იყვნენ, რომლებითაც შესძლებოდათ მასწავლებელთა გაკვეთილის მიცემა ყრმათათვის და ყრმათაცა სწავლა რამისა. აღაშენე და განამრავლე რამდენათაც გინდა სკოლები, განაწესე იმათში რამდენათაც გინდა მეცნიერნი მასწავლებელნი, აღავსე სკოლები ბოვშებით, რა სარგებლობა წარმოსდგება ამათგან თუ რომ არ იქმნებიან თანვე დასტამბული წიგნები უხვად, რომლებზედაც შეიძლებოდეს გაკვეთილის მიცემა და სწავლება ყრმათა?ვე

ამ წიგნების ნაკლულევანებისაგან იბადებოდნენ ეს შემაწუხებელნი მოხდენილობანიცა, რომ არა თუ სახოვლო სკოლების საქმე წინ ვერ მიდიოდა კარ-

*) „დროება“, № 137.

გად, არამედ ვითარცა ხანდის-ხან ეწერა „სასოფლო გაზეთში" ზოგი მათგანი ბოლოს გაუქმებული კიდევაც დაიკეტებოდა ხოლმე, ამიტომ რომ სოფლის სკოლებში მოსწავლე ყმაწვილებმა ქართული ენის მეტი სხვა ენა რომ არ იციან, და ქართულ ენაზედაც სკოლისათვის საჭირო და სახელმძღვანელო წიგნები რომ არ იპოებიან, უამისოდ ვერც მასწავლებელს შეუძლია ასწავლოს რაიმე ყრმათა და ვერცაღა იმათ შეუძლიანთ ისწავლონ რამე. სასოფლო შკოლების ამ შესაბრალისს მდგომარეობას აცხადებდა კვალად ის სტატიაცა, რომელიც დიდი ხანი არ არის ეწერა „დროება" გაზეთში, რომლითაც სამართლიერად სწუხდა ერთი შკოლის მასწავლებელი და ამბობდა, რომ: ერთი „ბუნების კარი" იყო, ისიც ეგება ხუთჯერ გავახელმეორებინე ყმაწვილებსა, ამის გარდა სხვა სახელმძღვანელო წიგნი რომ არ არის ქართულებ, ამას იქით რაღაზე უნდა ვაკითხო ყმაწვილებსაო? Ამასთანვე არცაღა ჩამდა სიდგანმე ერთი საფუძვლიანი და სანუგეშო ნიშანი, რომლისაგან იმედი ყოფილ იყო რომ საქართველოს საზოგადოებას მოეშველებოდნენ დროით ეს გამოსადეგი წიგნები და მით წამალი დაედებოდა მის ამფერს დიდს საჭიროებას. Ამ ზემოდ თქმულს უიმედობასაც აცხადებს ავტორი „ბუნების კარისა" წინასიტყვაობაში, სადაც ამბობს: „ბევრს ყმაწვილ-კაცს სურს და ცოდნაც ნებას აძლევს რომ სხვა-და-სხვა მეცნიერებაზედ წიგნები შეადგინოს, მაგრამ კითხვა: ვინ მოითხოვს და ვინ მოიპოვებს? Იმას ხელიდგან კალამს აგდებინებს სამუდამოდო".

Აი ამფერნი სამწუხარო გარემოებანი იყვნენ, რომელთაც აღგვძრეს ჩვენ რათა მოყვასის სიყვარულის თანამდებობის შესასრულებლად, რაოდენიც შეგვეძლო გვეშრომა გულსმოდგინებით ამ ფრიად სასარგებლო საქმისათვის. Ამ მძიმე და ძნელი საქმის თავზედ აღებაზედ შეგვაგულიანა ჩვენ იმანაც რომ ამ ნაირი მოყვასის სიყვარულის საქმის აღსრულება ჩვენი სამონაზონო საზოგადოების წესდებულებისაც თანახმა იყო, რადგან სხვა არაფრისთვის არის შედგენილი ეს ჩვენი მონასტრებრივი ერთობა **(Congrègation)** თუ არ მხოლოდ ამ ორი რამისათვის: ა. რათა ქვეყნიური გართხმულობისაგან მოცილებით და მონაზონებრივს მყუდრო მდგომარეობაში ყოფნით, შევიძლოთ უმფრო კეთილად მსახურება ღვთისა საცხონებლად სულისა ჩვენისა. Და მეორედ, რათა დიდებისათვის ღვთისა, რაც შეგვიძლია ვიშრომოთ სასიკეთოდ მოყვასისა, მაგალითად: რათა ქართული ენის მოუბართ რომის კათოლიკეთ და სომხის კათოლიკეთ საეკკლესიო გინა საბაროხო სკოლებში მასწავლებლობის ქმნით, ვასწავლოთ კათოლიკე ყრმათა კითხვა, წერა, კათეხიზი, არითმეტიკა და სხვა ამ ნაირი სასწავლო რამეები; და უფროსი ერთი ვასწავლოთ მათ ღვთის შიში და ერთ-გულობა ხელმწიფისა, ჩახვდენით მათი თუ ვითარ დიდი ვალია კაცისათვის საძსახური ღვთისა და ერთ-გული ქვეშევრდომობა ხელმწიფისა, ვითარცა ჩვენს დასტამბულს წიგნებშიაც ბევრს ადგილს გვილაპარაკნია ამათზედ. Ესრეთვე რათა სხვა საჭირო სულიერი შემწეობანიც მივცეთ ხოლმე კათოლიკეერსა შევლით მათი სულებისა. Ეს არის მხოლოდი მიზანი ჩვენი მონასტრებრივი და მონაზონებრივი სულიერი ძმობისა და წესდებულობისა. Ამისთვის ვიკისრეთ ყოველი სიძნელე, რათა დათარგმნილ იყვნენ სხვა-და-სხვა ენებისაგან ქართულს ენასა ზედა და გამოცემულ იყვნენ მაინც რამდენიმე საჭირო და გამოსადეგი წიგნები, ზემორედ თქმული აღსასრულისა და დანიშნულობისათვის. Ღმერთმანცა თავისი გამოუთქმელი მოწყალებით წარგვიმართა საქმე ესე, და დაისტამბნენ ქართულს ენაზედ თერთმეტ ნაირი შემდეგი წიგნები:

ა. წინამძღვარი ზეცისა, ბ. გზა ცხოვრებისა, გ. სიბრძნე კაცებრივი, დ. ბრძენი კაცი, ე. ქართული გრამატიკა, ვ. მოკლე რეტორიკა გინა მჭევრ-მეტყველობა, ზ. მოკლე ფილოსოფია გინა სიბრძნის მოყვარება, ჱ. გეოგრაფია, თ. მსოფლიო ისტორია ძველთა და ახალთა ნათესავთა, ი. გვირგვინი მოწამეთა წმიდა Ესტატე, (პოეზია ათას შვიდი მუხლი), ია. ყვავილების კონა ყრმათა გინა რჩეული ლექსები.

Ამათ გარდა დაიბეჭდა საქართველოს რომის კათოლიკეთათვისაც შემდეგი ოთხი წიგნი: ა. Თან-სატარებელი ლოცვის წიგნი, ბ. წალკოტი ლოცვათა, გ. პატარა საქრისტიანო მოძღვარება, დ. მოზდილი საქრისტიანო მოძღვარება გინა კათეხიზი.

(გაგრძელება)


# ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲓᲔᲑᲐᲜᲘ

ᲒᲐᲛᲝᲕᲘᲓᲐ ᲓᲐ ᲘᲡᲧᲘᲓᲔᲑᲐ

## „ᲑᲣᲢᲘᲐᲝᲑᲐ"

ვოდევილი

ᲐᲙᲐᲙᲘ ᲬᲔᲠᲔᲗᲚᲘᲡᲐ

ᲘᲡᲧᲘᲓᲔᲑᲐ ჩარკვიანის, ვართანოვის და ბრიქუროვის წიგნის მაღაზიებში, აგრეთვე უფ. შავერდოვის გაზეთის სააგენტოში, ბულვარზე.


| რკ. გზა. | დილ. | | საღამ. | | II კ. | | III კ. | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | | | მ | კაპ. | მ. | კაპ. |
| Თფილისი . . | 9 | 21 | 5 | 18 | | | | |
| Მცხეთა . . . | 10 | 11 | 6 | 27 | - | 85 | - | 44 |
| Გორი. . . . | 11 | 58 | 9 | 43 | 3 | „ | 1 | 53 |
| Ხაშური . . . | 1 | 29 | 11 | 57 | 4 | 73 | 2 | 42 |
| Სურამი . . . | 1 | 44 | | | 4 | 90 | 2 | 61 |
| Ყვირილა . . | 5 | 49 | | | 7 | 21 | 3 | 69 |
| Რიონი. . . . | 6 | 57 | | | 8 | 44 | 4 | 31 |
| Სამტრედია . | 7 | 51 | | | 9 | 66 | 4 | 93 |
| Ახალ-სენაკი | 8 | 43 | | | 10 | 71 | 5 | 47 |
| Ფოთი. . . . | 9 | 50 | | | 12 | 24 | 6 | 26 |
| Ფოთი . . . . | 9 | 3 | | | | | | |
| Ახალ-სენაკი. | 10 | 14 | | | 1 | 53 | - | 78 |
| Სამტრედია . | 11 | 5 | | | 2 | 61 | 1 | 33 |
| Რიონი . . . | 12 | 13 | | | 3 | 84 | 1 | 97 |
| Ყვირილა . . | 1 | 18 | ღამე. | | 5 | 3 | 2 | 56 |
| Სურამი . . . | 5 | 12 | 1 | 10 | 7 | 34 | 3 | 74 |
| Ხაშური . . . | 5 | 39 | 1 | 37 | 7 | 51 | 3 | 84 |
| Გორი . . . . | 7 | 5 | 4 | 8 | 9 | 24 | 4 | 73 |
| Მცხეთა . . | 8 | 50 | 6 | 59 | 11 | 39 | 5 | 82 |
| Თფილისი. . | 9 | 31 | 7 | 56 | 12 | 24 | 6 | 26 |

| ᲢᲔᲚᲔᲒᲠᲐᲤᲘ | მან | კაპ. |
|---|---|---|
| Ოცი სიტყვა Თფილისიდამ. | | |
| Კავკასიის აქეთა მხრის ყველა ქალაქებში . . . . . . . . . | — | 50 |
| Როსტოვს, Ოდესას, მოსკოვს, | 2 | — |
| Პეტერბურღს, Ვარშავს . . . | 2 | — |
| Ოსმალეთში, შვეიცარიაში . | 3 | — |
| Იტალიაში და საფრანგეთში . | 3 | 50 |
| Ინგლისში. . . . . . . . . . . | 3 | 75 |

ᲤᲝᲩᲢᲐ

ა) Თფილისიდამ: სამზღვარ გარეთ, ქუთაისს, რუსეთს—ყოველ დღე კვირას გარდა. ზუგდ. ორშ. და ხუთშ. Ოზურ.—პარასკ. და ორშ. Კახეთს—სამშ. და შაბ. ბ) ქუთაისიდამ: Თფილისისა და Ფოთისაკენ—ყოველ დღე კვირას გარდა. Ოზურგეთს—ორშ. და პარასკ.

| Წიგნის გაგზავნა რუსეთში და სამზღვარ გარეთ: | კაპ |
|---|---|
| Ლია წიგნის . . . . . | 3 |
| Დაბეჭდილის (სამი მისხალი) . | 8 |

| ᲛᲐᲖᲐᲜᲓᲐ | მან | კაპ |
|---|---|---|
| Თფილისი 22 ივნისს. | — | — |
| Ფქვ. თეთ. ბანჯისა ფუთ. | 2 | 20 |
| Ფქვ. წითელი . . | 1 | 70 |
| Ქერი ფუთი . . . | 1 | 50 |
| Ბამბა Ერევნისა, ფუთი. | 8 | 20 |
| —Ამერიკისა, ფუთს . | 9 | 50 |
| Ბაღენტილი ბამბა ფუთი. | 10 | 70 |
| Მატყლი თუშური ფუთი. | 8 | 20 |
| —Თარაქამისა ფუთი . | 4 | 30 |
| Აბრეშუმი ნუხური სტ. | 2 | 10 |
| Ქონი ფუთი . . . | 5 | 80 |
| Ქონის სანთელი ფუთი. | 7 | 60 |
| Სტეარინის სანთელი ფ. | 12 | 40 |
| Ხორცი ძროხისა .ლიტრა | — | 72 |
| —ცხვრისა, ლიტრა . . | — | 90 |
| Სპირტი ვედრო . . . | 4 | 50 |
| Შაქარი ბროც. ფუთ . | 7 | 10 |
| —ფხვნილი ფუთი . | 5 | 70 |
| Ყავა რგვალი გრვ. . | — | 65 |
| Ზეთი ქუნჯუთისა ფუთი. | 11 | 80 |
| Თამბაქო საშუალო ფთ. | 6 | 50 |

### ᲗᲤᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲡᲐᲛᲙᲣᲠᲜᲐᲚᲝ.

Ერევნ. მოედან., Წინამძღვაროვ.სახლ.

Ავათმყოფებს მიიღებენ ყოველ დღე დილის 8 საათიდამ 10-დინ.

Ო რ შ ა ბ ა თ ს: Ლისიცევი და Ბარალევიჩი—შინაგ.ავათმყოფობის.

ს ა მ შ ა ბ ა თ ს: Ვერმიშევი და Ბაბოვი—გულისა და შინაგ. ავათმყოფ.; Რეიხი—თვალის, Ყურავლევი—კანისა და ვენერიულის, Ბახუტოვი—ქალისა და ბავშვების.

Ო ხ შ ა ბ ა თ ი: Ლისიცევი—შინაგ., Ბაპაევი—ნერვების.

ხ უ თ შ ა ბ ა თ ს:Ვერმიშევი—შინაგ ავათმყ. და Ყურავლევი—კანის და ვენერიულის.

Პ ა რ ა ს კ ე ვ ს იქნებიან: Ლისიცევი, Ბაბოვი, Ბაბაევი და Ბახუტოვი.

Შ ა ბ ა თ ს: Ვერმიშევი. Რეიხი და Ყურავლევი.

Ორბელტი — კბილის ექიმი და Ბაბაევი მიიღებენ შინ, ღარიბებს მუქთად.

Дозволено цензурою. Тифлисъ, 4 Іюня 1879 г. Типографія Меликова. Გამომც. ს. ᲛᲔᲚᲘᲥᲘᲨᲕᲘᲚᲘ. რედ.. ს. ᲛᲔᲡᲮᲘ